საგაზეთო ჩანართი

ინტელექტი

ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა

№14 / 2015

საკრებულოს სხდომა ქობულეთის მუნიციპალიტეტში

კონკურსი – „საკრებულოს საუკეთესო წევრი“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ ინიცირებული იქნა კონკურსი „საკრებულოს საუკეთესო წევრი“, რომელიც ჩატარდება ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში.

კონკურსის მიზანია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მუნიციპალიტეტში გამოავლინოს მოტივირებული, ინიციატივიანი საკრებულოს წევრები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი საკრებულოს საქმიანობაში, მოსახლეობის ინტერესების დაცვის პროცესებში.

ყოველ მუნიციპალიტეტში გამოვლენილი იქნება თითო საკრებულოს წევრი, რომელსაც გადაეცემა დიპლომი და ფასიანი საჩუქრები.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტში (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) ახორციელებს საკრებულოების საქმიანობის მონიტორინგს, რომლის საშუალებითაც მოხდება ყველაზე აქტიური – „საკრებულოს საუკეთესო წევრის“ გამოვლენა. მონიტორინგის მიზანია მიაღწიოს საზოგადოებრივ ჩართულობას და ზედამხედველობას თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობაზე, ასევე წაახალისოს საკრებულოების ყველაზე აქტიური და კვალიფიცირებული წევრები. მონიტორინგი ხორციელდება იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ასახულია „კარგი მმართველობის დეკლარაციაში“ და რომელიც გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში: საკრებულოს სხდომებზე დასწრება, საკრებულოს სხდომაზე საკითხის ინიცირება, საკრებულოს სხდომაზე აზრის გამოთქმა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მოსახლეობასთან საჯარო და ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარება, შუამდგომლობების გაგზავნა შესაბამის სამსახურებთან (თუ პრობლემა სცილდება დეპუტატის კომპეტენციის ფარგლებს), კომისიის სხდომებზე დასწრება და ასე შემდეგ.

კონკურსში მონაწილეებად განიხილება საკრებულოს ყველა წევრი, გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა და მოადგილისა. ასეთი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებებით, რომ საკრებულოს ხელმძღვანელი პირები, თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე, გაცილებით ხშირად გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებსა და მოსაზრებებს საკრებულოს სხდომებზე. შესაბამისად, მათი კონკურსში მონაწილეობა არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებდა საკრებულოს დანარჩენ წევრებს.

იდეა – გამოვავლინოთ „საკრებულოს საუკეთესო წევრი“ ყველა წევრს მოსწონს და დადებითად აფასებენ. ვახტანგ ლორთქიფანიძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა. ის, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ „საკრებულოს საუკეთესო წევრს“ დაასახელებს, მან ამავე ორგანიზაციის მიერ „კარგი მმართველობის დეკლარაციის“ გადაცემის ღონისძიებაზე გაიგო. „თუ ბედი გამიღიმებს და მე ვიქნები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის „საკრებულოს საუკეთესო წევრი“, თავს იღბლიან დეპუტატად ჩავთვლი და უფრო მეტი შემართებით ვიბრძოლებ ჩემი ამომრჩევლების სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად. თუ ეს სტატუსი ჩემს კოლეგას მიენიჭება, მაინც აამაღლებს ჩემს მოტივაციას და იმ კომპონენტების გამოსწორებას შევეცდები, სადაც დაბალი შეფასება მექნება.“

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მამია ჟორდანია მიიჩნევს, რომ „საკრებულოს საუკეთესო წევრის გამოვლენა მისასალმებელია. ეს წაახალისებს საკრებულოს წევრებს და მეტი ენთუზიაზმით შეუდგებიან თავიანთი უფლებამოსილების შესრულებას.“

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ედუარდ მიქელაძე ამბობს: „საკმაოდ აქტიური წევრი ვარ, მაგრამ „საკრებულოს საუკეთესო წევრის“ სტატუსის მონიჭება ათმაგად აამაღლებს ჩემს მოტივაციას და შესაბამისად უფრო მეტად ვიაქტიურებ.“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტისთვის“ ეს კონკურსი არ ახალია. 2010 წელს პროექტის „ჩემი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში გამოავლინა „საკრებულოს საუკეთესო წევრები“ აჭარის რეგიონის ოთხ (ხულო, შუახევი, ხელვაჩაური და ქობულეთი) მუნიციპალიტეტში. გამონაკლისი აღმოჩნდა ქედის მუნიციპალიტეტი. მონიტორინგის დროს დაფიქსირდა, რომ ყოველი საკითხი საკრებულოს სრული შემადგენლობის „ხელის აწევით“ გადიოდა და არც ერთს ჰქონია განსხვავებული აზრი. სამწუხაროდ ვერც სხვა აქტივობები ვერ გამოვლინდა. მიმდინარე მონიტორინგის დროს სურათი საგრძნობლად შეიცვალა და ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ „საკრებულოს საუკეთესო წევრს“ ქედის მუნიციპალიტეტშიც დაასახელებს.

„პროექტი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე რამდენიმე მსხვილი კომპონენტისაგან შედგებოდა, რომელთა ერთობლიობა მიმართულია საკრებულოს საქმიანობის ეფექტურობისა და თვითმმართველობაში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებისაკენ. რაც შეეხება საკრებულოს საუკეთესო წევრის გამოვლენის კომპონენტს, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია საკრებულოს წევრების სტიმულირებისაკენ, მათი მოტივაციის ამაღლებისაკენ. გარდა იმისა, რომ პროექტის ფარგლებში თითო მუნიციპალიტეტში გამოვლინდება თითო საუკეთესო წევრი, საკრებულოს სხვა წევრებს გაუმძაფრდებათ კონკურენციის შეგრძნება, რაც გაზრდის მათ ეფექტურობასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლად მიმაჩნია მსგავსი აქტივობისათვის სისტემური ხასიათის მიცემა,“ – განაცხადა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტების კოორდინატორმა დავით არძენაძემ.

აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის „საკრებულოს საუკეთესო წევრს“ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ სპეციალურ დიპლომსა და სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემს.

კონკურსი – „საკრებულოს საუკეთესო წევრი“ ხორციელდება პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

მაჟორიტარი წევრები თემებში

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ინიციატივით 2014 წლის დეკემბერში ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში დაიწყო კამპანია, რომლის მიზანიც იყო საკრებულოების მაჟორიტარი წევრებისა და თემების მოსახლეობას შორის შეხვედრების, თემებში არსებული პრობლემების ერთობლივი განხილვისა და მოსახლეობისთვის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩაბარების პრაქტიკის ჩამოყალიბების, ასეთი შეხვედრების ტრადიციად დამკვიდრების ხელშეწყობა.

კამპანიამ წარმატებულად ჩაიარა. საკრებულოს მაჟორიტარი წევრების უმეტესი ნაწილი დიდი ენთუზიაზმით ჩაერთო კამპანიაში და დიდი სამუშაოც გასწია შეხვედრების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ინიციატივითა და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ორგანიზებით, აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) თემებში მაჟორიტარი წევრები თავიანთ ამომრჩევლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე მაჟორიტარი წევრები და მოსახლეობა თემის პრობლემებს ერთობლივად განიხილავდა და პრიორიტეტებს განსაზღვრავდა. გარდა ამისა, მაჟორიტარი წევრები საკუთარ ამომრჩევლებს ინფორმაციას აწვდიდნენ ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის ვადიდან საანგარიშო პერიოდამდე მათ მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე, რაც ითვალისწინებდა, როგორც სამართლებრივ აქტებზე მუშაობას, ასევე 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმდინარეობასა და სამომავლო გეგმებზე.

შეხვედრის დროს „ინტელექტის“ წარმომადგენლები აპრობირებული და კარგად დამუშავებული მეთოდოლოგიით ატარებდნენ თემებში მოსახლეობის მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევებს (საბიუჯეტო კვლევები).

მაჟორიტარი წევრების შეხვედრა მოსახლეობასთან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ფარგლებში მიმდინარეობდა. შეხვედრების მიზანია თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობისა და საკრებულოს წევრების ანგარიშვალდებულების ამაღლების ხელშეწყობა. აღნიშნული კომპონენტი ხელს უწყობს საკრებულოს წევრებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთკავშირის, კომუნიკაციისა და შედეგებზე ორიენტირებული ეფექტური სისტემის დანერგვას.

აღნიშნული თემების მოსახლეობა მიიჩნევს, რომ „ეს კარგი საქმეა. საშუალება გვაქვს ჩვენი თემის პრობლემებზე ერთობლივად ვიმსჯელოთ და ერთად გადავწყვიტოთ, რომელი საკითხი უფრო პრიორიტეტულია, განვსაზღვროთ რიგითობა. მაჟორიტარი წევრი ზემდგომ სტრუქტურებს გააცნობს ჩვენს თემში არსებულ პრობლემებს და თავის ანგარიშსაც ჩაგვაბარებს. მადლობა ამ შეხვედრის ორგანიზატორებს.“

მოსახლეობასთან ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ინიციატივით შეხვედრის წინააღმდეგნი არ ყოფილან თემის წევრებიც. მათი თქმით „მოსახლეობასთან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად გამოჩენა შემდგომ ურთიერთობაზე დადებითად აისახება და უფრო სარწმუნოს ხდის სიტყვას და საქმესაც“.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგი საკრებულოს წევრები მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ შეხვედრების ორგანიზებულად და საქმიან ატმოსფეროში ჩატარების საქმეს: ხულოს მუნიციპალიტეტიდან აგარის– ჯუმბერ დიმიტრაძე, სხალთის – ჯანგული შაინიძე, რიყეთის – მალხაზ კოჩალიძე და დიდაჭარის – ზაურ გობაძე – თემების მაჟორიტარი წევრები;

შუახევის მუნიციპალიტეტიდან უჩამბის – არმაზ ბახტაძე და დღვანის – გელა აბაშიძე – თემების მაჟორიტარი წევრები;

ქედის მუნიციპალიტეტიდან მერისის – რეზო თურმანიძე, ცხმორისის – გურამ ანანიძე და მახუნცეთის – რომან ბედინაძე – თემების მაჟორიტარი წევრები;

მაჟორიტარი წევრის შეხვედრა ხულოს მუნიციპალიტეტის აგარის თემში

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მახინჯაურის – აბდი ბერიძე და ფერიის – ჯემალ მუსხაჯზა – თემების მაჟორიტარი წევრები;

ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან ხუცუბნის – არჩილ დუმბაძე, სოფელ ქობულეთის – ივერი გუგუნავა, ზენითის – არჩილ ჯინჭარაძე, დაბა ჩაქვის – მამუკა მიქელაძე, საჩინოს – თემურ დავითაძე, მუხაესტატეს – იმედა ხაჯიშვილი და ციხისძირის – ნუკრი ბეჟანიძე – თემების მაჟორიტარი წევრები.

დღეისათვის აჭარის რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტის 63 თემიდან ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ინიციატივის ფარგლებში თემის მოსახლეობასთან შეხვედრა არ ჩატარებულა მხოლოდ ქედის მუნიციპალიტეტის დანდალოს თემში. აღნიშნული თემის მაჟორიტარი წევრი გენადი არძენაძე მიზეზად მოუცლელობას ასახელებს და შეხვედრის მოგვიანებით ჩატარებას გეგმავს.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ სამომავლოდაც გეგმავს გააგრძელოს აღნიშნული აქტივობა და ხელი შეუწყოს მაჟორიტარი წევრებისა და მოსახლეობის დაახლოებას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა პაპაციძე
მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13; ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge; ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge